2-7496/26
08-06-2026

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ პაატა კვიჟინაძეს
ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტაბატაძეს

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ **„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“** შესახებ (N1-5150/26; 29.05.2026).

თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.

კომიტეტის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული უწყებების მიერ საბიუჯეტო ასიგნებების ფაქტიური ათვისება დაგეგმილ მაჩვენებლებთან მიმართებაში საანგარიშო პერიოდის მიხედვით არის შემდეგნაირი: თავდაცვის სამინისტროს დაზუსტებული გეგმა - 1,840,585.8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება - 1,841,285.3 ათასი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტრო: დაზუსტებული გეგმა - 1,395,892.4 ათასი ლარი, შესრულება - 1,399,254.5 ათასი ლარი; საქართველოს დაზვერვის სამსახური: დაზუსტებული გეგმა - 25,500.0 ათასი ლარი, შესრულება - 25,500.0 ათასი ლარი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: დაზუსტებული გეგმა - 271,500.0 ათასი ლარი, შესრულება - 271,382.2 ათასი ლარი; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური: დაზუსტებული გეგმა - 113,633.4 ათასი ლარი, შესრულება - 113,230.2 ათასი ლარი; სპეციალური პენიტენციური სამსახური: დაზუსტებული გეგმა - 292,909.4 ათასი ლარი, შესრულება - 290,639.2 ათასი ლარი; სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური: დაზუსტებული გეგმა - 21,500.0 ათასი ლარი, შესრულება - 21,431.0 ათასი ლარი.

თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი დადებითად აფასებს საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და მხარს უჭერს მის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
გია ბენაშვილი